

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს პროპორციული სიით
არჩეული წევრის
ეკატერინე შველიძის

წლიური ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული 19 სხდომიდან (11 მორიგი და 8 რიგგარეშე) დავესწარი 18 სხდომას. ჩართული ვარ „ხარაგაულის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო“ და „განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებში“.

საანგარიშო პერიოდში არ გამომიტოვებია და არ გამიცდენია ალნიშნული კომისიების არცერთი სხდომა.

მოგეხსენებათ, საკრებულოს კომისიები, უსმენენ მერიის ა(ა)ი.პ -ების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. დასახელებულ კომისიებში აქტიურად ვარ ჩართული და არ ყოფილა სხდომა, სადაც ჩემი დამოკიდებულება და აზრი არ გამომეთქვა.

გადმომდინარე იქიდან, რომ ხანგრძლივად ვმუშაობ კულტურულ დაწესებულებაში კერძოდ, „ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში“ ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო და იქნება ის გამოწვევები, რაც ამ დაწესებულების წინაშე დგას ყოველთვის მწვავედ დამისვამს მიმდინარე თემებზე კითხვები საკრებულოს სხდომაზე და უპირველეს ყოვლისა კომისიებზე, როცა ანალოგური საკითხები ყოფილა განხილვის საგანი დღის წესრიგში.

რაც შეეხება საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიაში ჩემს ჩართულობას: ვმონაწილეობდი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დამტკიცებაში. ასევე ვასრულებდი საკრებულოს წევრის იმ როლსა და დანიშნულებას, რაც საფინანსო-საბიუჯეტო უფლება-მოვალეობებს უკავშირდება.

საკრებულოს წევრის მანდატით საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მაქვს 7 საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან, ოქმებითაა გაფორმებული. ამ შეხვედრებზე დაისვა მეტად აქტიური და მოსახლეობისთვის საჭირო საკითხები, როგორებიცაა: გზის, მუნიციპალური ტრასპორტის (სამგზავრო მატარებელი, შეღავათიანი მარშრუტები) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კიდევ უფრო ეფექტური დახმარების გზები, მიუსაფარი ძაღლების და კატების პრობლემები. ასევე შინაური ცხოველების უკონტროლოდ გაშვებასთან დაკავშირებული პრობლემა. რომლებიც

აზიანებენ გაზონებსა და სკვერებს. ხარაგაულის ცენტრში გამავალი მდინარის, ჯიხველისა და მდინარე ჩხერიმელას მოუწესრიგებელი არხები და კალაპოტები, რომლებსაც მოსახლეობა უდიერად ეპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ ინიცირებული პროექტი არ მქონია, რამოდენიმე საკითხი, რომელიც ამომრჩევლებთან შეხვედრებზე დაისვა, დადებითად გადაწყდა საკრებულოსთან და მერიის შესაბამის სამხაურებთან ჩემი უშუალო ჩართულობით და აქტიური კომუნიკაციით. მაგალითად, შემოიღობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სარდაფი; ხარაგაულის ალტერნატიული წყლის სისტემით მიწოდება გარკვეული უბნის მოსახლეობისთვის. მდინარე ჯიხველას კალაპოტის მოსაწესრიგებლად დაწყებული სამუშაოები.

ინტენსიურად ვთანამშრომლობ მაჟორიტარ დეპუტატებთან, მქონდა რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა სოფელში: სოფელი ხუნევი, მარელისის სხვადასხვა უბანში 2-ჯერ. საღანძილისა და დაბაში. სოფლის მოსახლეობის მიერ დასმული საკითხები უკვე გადაიჭრა ნაწილი კი მომავალში დადებითად იქნება გადაწყვეტილი.

ჩემი ინდივიდუალური კომუნიკაციით მოხდა დასაქმება, უფასო სამედიცინო დახმარების გაწევა და ა.შ.

თვითმმართველობის შინაარსიდან გამომდინარე ჩემი სადეპუტატო მანდატის ფარგლებში ინტენსიურ რეჟიმში, თითქმის ყოველდღე ვხვდები მოქალაქეებს და ვუხსნი, რომ მათი უფლებაა არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოიწყონ კომფორტული საცხოვრებელი გარემო: ამის დამადასტურებელია ის უმარავი პროექტი, სადაც სოფლის საკეთილდღეოდ და დაბის ტერიტორიაზე მიმდინარე გზების კეთილმოწყობა, სკვერების რეაბილიტაცია (რაზეც ჩემი კრიტიკული მოსაზრებები არაერთხელ გამომითქვამს.) ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის მილიონიანი პროექტის განხორციელება. ყოველდღიური ზრუნვა კეთილმოწობილ საბავშვო ბაღებსა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილ სკოლებზე. მრავალბინიანი სახლების სახურავებზე, ეზოებზე ზრუნვა.

პროექტმა და მოსახლეობასთან ურთიერთობამ და საერთოდ შეხვედრებმა, დამარწმუნა რომ მაჟორიტარული სისტემა გამართლებულია ჩვენი საზოგადოების და თვითმმართველობის საკეთილდღეოდ. ჩემი ოცნებაა, ბევრ ახალგაზრდას გაუჩნდეს სურვილი ჩაერთოს პოლიტიკაში და თვითმმართველობის საქმეში შემოიტანოს ახალგაზრდული შემართება, ხედვები, ცოდნა და იდეები.

ამის მაგალითია ხარაგაულის საკრებულოში შექმნილი ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც ჯერ კიდევ პირველი მოწვევის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარის ქალბატონი მანანა ბარბაქაძის ინიციატივით

ჩამოყალიბდა, სადაც მაღალი კლასის მოსწავლეები პოლიტიკისა და თვითმართველობის ანაზანას ეცნობიან.“